

დედ-მამით ობოლ ბავშვთა

ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა

მიზნობრივი პროგრამა ითვალისწინებს 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით.

პროგრამაში ჩასართველად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. არასრულწლოვანის დაბადების მოწმობის ასლი;
3. დედ-მამის გარდაცვალების ცნობის ასლი, თუ მარტოხელა დედაა იმ შემთხვევაში დედის გარდაცვალების ცნობა;
4. ცნობა პენსიის არსებობის შესახებ;
5. მეურვის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
6. მეურვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

შენიშვნა: პროგრამის ბენეფიციარებს დახმარება ენიშნებათ მერიაში განაცხადის შემოტანის თვიდან და უწყდებათ სრულწლოვანობის ასაკის მიღწევიდან მომდევნო თვიდან.